პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 140 (5170)

1974 წ. 17 ივლისი, ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი ა. გურასაშვილი ალმა-ათიდან ტელეფონით გვატყობინებს

მარცხის დღე

ალმა-ათა, 16 ივლისი. საქართველოს დელეგაციის გუშინდელ გამოსვლებს მხოლოდ მარცხი შეიძლება ვუწოდოთ. როგორც ვიუწყებოდით, ჩვენმა კალათბურთელმა ვაჟებმა დაამარცხეს თურქმენეთისა და ლატვიის გუნდები. გუშინ ალმა-ათის უცხო ენათა ინსტიტუტის სპორტდარბაზში გაიმართა საქართველოს და ლენინგრადის კალათბურთელთა შეხვედრა. ამ მატჩში ჩვენებს ხელს აძლევდათ... წაგებაც, ოღონდ მხოლოდ 7 ქულის სხვაობით. გამარჯვების შემთხვევაში კი ჩვენები ოქროს ქულით გადიოდნენ ფინალში. სამწუხაროდ, მათ ამოცანა ვერ შეასრულეს და 8 ქულის სხვაობით დამარცხდნენ (66:74). მსაჯობა მაინცდამაინც არ იყო ობიექტური, რის გამოც განაწყენებულმა კალათბურთელებმა და მათმა მწვრთნელმა ლ. ინწკირველმა ნერვები ვერ მოთოკეს. ამიტომ ინწკირველი სპარტაკიადაზე მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლეს.

მესამე ქვეჯგუფიდან, რომელშიც საქართველო ასპარეზობდა, ფინალის საგზურები ლენინგრადსა და ლატვიას დარჩათ. ეს უკანასკნელი ფინალში ოქროს ქულით შევიდა. აღსანიშნავია, რომ წინასწარ შეხვედრებში ლენინგრადელები ლატვიის გუნდთან დამარცხდნენ — 55:67.

საქართველოს კალათბურთელმა გოგონებმა თურქმენეთის გუნდთან შეხვედრაში იყოჩაღეს (61:25), მაგრამ ფინალის მიღმა დარჩნენ, რადგან წინა ორი შეხვედრა წაგებული ჰქონდათ.

გუშინ ჩვენმა ფრენბურთელმა ჭაბუკებმაც გაიმარჯვეს, მაგრამ ფინალში ვერ მოხვდნენ. მათ ორი წაგების შემდეგ მოუგეს მოლდავეთის გუნდს — 3:1.

ამ სპარტაკიადაში ჩვენი ნორჩი ფეხბურთელები ბოლომდე არ იბრძვიან და ნაადრევად ურიგდებიან მარცხს. გუშინ აზერბაიჯანელებთან შეხვედრაში მათ პირველი ტაიმი მოიგეს 1:0, მაგრამ მეორე ტაიმში ორი გოლი გაუშვეს.

ალმა-ათაში უკვე დამთავრდა პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში. I ადგილი მოიპოვა რსფსრ-ს გუნდმა — 252,77 ქულა, II — ყაზახეთის კოლექტივმა — 251,34. III ადგილზე არიან მოსკოველები — 242,26. ამ შეჯიბრებაში საქართველოს გუნდი არ გამოდიოდა.

ხარკოვსა და ერევანში დამთავრებულ მოცურავეთა შეჯიბრებებში ჩვენმა გოგონებმა VII ადგილი დაიკავეს, ხოლო ჭაბუკებმა — XI. გუნდურ ჩათვლაში მათ 177,75 ქულით X ადგილი ერგოთ. I ადგილი დაიკავა უკრაინის გუნდმა — 1126,95, II — ლენინგრადის კოლექტივმა — 1147,75. III ადგილზე არიან რსფსრ-ს წარმომადგენლები — 1020,30.

დამთავრდა მოჭადრაკეთა ნახევარფინალური შეჯიბრებები. ფინალში გავიდნენ მოსკოვის, საქართველოს, უზბეკეთისა და აზერბაიჯანის გუნდები.

კოლხეთელთა სიხარული

რუსთავის სპორტულ საზოგადოებრიობაში დიდი ინტერესი გამოიწვია „ტყავის ბურთის“ პრიზის მე-10, საიუბილეო რესპუბლიკურმა ფინალურმა გათამაშებამ უმცროსი ასაკის ნორჩ ფეხბურთელთა შორის (1962-1963 წლებში დაბადებული ბავშვები). მასში მონაწილეობდნენ ლაგოდეხის „ჩანჩქერი“, თბილისის „მერცხალი“, გალის „ციცინათელა“, ქუთაისის „კოლხეთი“, ბათუმის „გაზაფხული“, ბოგდანოვკის „ფარვანა“, გორის „თონთიო“, ზესტაფონის „წინსვლა“, წყალტუბოს „ავაზა“, ცხაკაიას „ტეხურა“, ცხინვალის „მაჭიებელი“ და რუსთავის გუნდი.

ტურნირის მონაწილე კოლექტივები დაყოფილი იყვნენ 4 ქვეჯგუფად, აქ I-II ადგილებზე გასულნი ოლიმპიური სისტემით განაგრძობდნენ შემდგომ ბრძოლას.

საბოლოოდ, ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს ქუთაისის „კოლხეთმა“ (მწვრთნელი მ. ლოსაბერიძე) და ზესტაფონის „წინსვლამ“ (მწვრთნელი თ. ჭიღლაძე). მატჩი „მეტალურგის“ სტადიონზე მიმდინარეობდა ძალზე საინტერესოდ. ნორჩმა ფეხბურთელებმა აჩვენეს ცოცხალი, ტემპიანი თამაში, გამარჯვების დაუცხრომელი სურვილი. ქუთაისელებმა კარგად ჩაატარეს შეხვედრა და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0. ბურთები გაიტანეს კამიამ და მიქელაძემ.

III ადგილისთვის იბრძოდნენ გორის „თონთიო“ და გალის „ციცინათელა“. გორელი ბესთაევის მიერ გატანილი გოლი შესვენების შემდეგ გაქვითა როდონაიამ — 1:1. საჭირო შეიქნა დამატებითი პენალტების დანიშვნა, სადაც წარმატება წილად ხვდათ გორელ ფეხბურთელებს (მწვრთნელი კ. თურაზაშვილი).

საპრიზო ადგილებზე გასულ კოლექტივებს გადაეცათ ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები, ხოლო „კოლხეთს“ — საპატიო თასი.

ფინალურ ტურნირში მონაწილე ფეხბურთელთათვის დაწესებული იყო სპეციალური ჯილდოები. გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ პრიზი წილად ხვდა რუსთაველ მეკარე გ. ქიმაძეს, „მოლოდიოჟ გრუზიისა“ — გალელ მცველს თ. კობახიას, „ნორჩი ლენინელისა“ — გორელ ნახევარმცველ ტ. ახალკაცს. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკური სპორტკომიტეტის პრიზები მიიღო საუკეთესო თავდამსხმელმა და ბომბარდირმა, ზესტაფონელმა ნ. კიკნაძემ. კომკავშირის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პრიზი ყველაზე ტექნიკური ფეხბურთელისთვის ერგო ქუთაისელ გ. სილაგაძეს. პოპულარული ფეხბურთელის ჯილდოს მფლობელი გახდა ყველაზე პატარა ფეხბურთელი გორიდან ს. კაზიევი.

რ. გაბრიჩიძე.
(ჩვენი კორ.).

* * *

სურათებზე: დამთავრდა ფინალური მატჩი, გაისმა მსაჯის საბოლოო სასტვენი და გამარჯვებული ნორჩები ვერ ფარავენ თავიანთ სიხარულს; „ტყავის ბურთის“ რესპუბლიკური ჩემპიონი უმცროს ასაკში—ქუთაისის „კოლხეთი“; ყველაზე პოპულარული ფეხბურთელი — გორელი ს. კაზიევი თასით ხელში.

ავტორის ფოტოები.

ახალი ამბები 74

● ვეიმუტი, 15 ივლისი. ინგლისის ამ ქალაქში გაიმართა აფროსანთა მსოფლიო ჩემპიონატი „მფრინავი ჰოლანდიელის“ კლასში. ასპარეზობაში დიდ წარმატებას მიაღწიეს გდრ-ის სპორტსმენებმა. ამ ქვეყნის წარმომადგენლებმა I-II ადგილები დაიკავეს. მსოფლიო ჩემპიონი გახდა ეკიპაჟი, რომელსაც მეთაურობდა ი. ვოლფი. ვერცხლი წილად ხვდა გუნდს, რომლის მესაჭე იყო გ. პიუტნერი. ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს კანადელებმა. დნეპროპეტროვსკელი ვ. გუსენკოს ეკიპაჟი 21-ე ადგილზეა. შეჯიბრებაში გამოდიოდა 26 ქვეყნის 55 ეკიპაჟი.

● **კოპენჰაგენი, 15 ივლისი.** საერთაშორისო რეგატაში „იალქანი-74“ ლიდერობს საბჭოთა ნავი „ტოვარიშჩი“. ლიდერს 10 საზღვაო მილით ჩამორჩება გფრ-ის ნავი „ჰორკ ფოკი“. შეჯიბრებაში მონაწილეობს 16 ქვეყნის 61 ნავი.

როსტომ აბაშიძე — ნაკრების მწვრთნელი

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ რ. აბაშიძის სახელი კარგადაა ცნობილი საჭიდაო სამყაროში. მას წლების მანძილზე არ ჰყავდა ტოლი ქვემძიმე წონაში. რ. აბაშიძე კვლავ დაუბრუნდა თავის საყვარელ საქმიანობას, დაუბრუნდა კლასიკურ ჭიდაობას, ოღონდ არა როგორც მომქმედი სპორტსმენი, არამედ როგორც ახალგაზრდა თაობის აღმზრდელი.

ამას წინათ საქართველოს სპორტკომიტეტის შუამდგომლობით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა საკავშირო ნაკრების მწვრთნელად საქართველოში (ლაპარაკია, რა თქმა უნდა, კლასიკურ ჭიდაობაზე) დანიშნა როსტომ აბაშიძე. ეს ცნობა სიხარულით მიიღო ჩვენი რესპუბლიკის სპორტულმა საზოგადოებრიობამ, საჭიდაო აქტივმა, რომლის ღრმა რწმენითაც კეთილსინდისიერი, შრომისმოყვარე და საქმის მცოდნე მწვრთნელი ხელს შეუწყობს კლასიკური ჭიდაობის პოპულარიზაციას ახალგაზრდებში და ხალიჩის ბევრ შესანიშნავ ოსტატს აღზრდის.

სენსაციები ფინიშზე

თბილისში, ჭადრაკის სასახლეში მიმდინარე რესპუბლიკური გუნდური პირველობის ნახევარფინალებში დედაქალაქისა და სოხუმის მოჭადრაკეები I ადგილებს რომ დაიკავებდნენ, ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა. მართლაც, გუშინწინ დასკვნითს, V ტურში თბილისელებმა სძლიეს ტყიბულის გუნდს ანგარიშით 3,5:0,5, ხოლო სოხუმელებმა მოუგეს სამტრედიის კოლექტივს — 3:1 და I ადგილებზე გავიდნენ. მასპინძლებმა 17 ქულა მოაგროვეს, სოხუმელებმა — ნახევარი ქულით მეტი, ჩემპიონობის საკითხი მათს შეხვედრაში გადაწყდება.

დიდად დაიძაბა ბრძოლა ნახევარფინალებში II ადგილებისთვის.

პირველ ნახევარფინალში II ადგილის მთავარი კანდიდატი ზუგდიდის გუნდი (12 ქულა) იყო, რომელიც უახლოეს მეტოქეს, ბათუმის კოლექტივს 3 ქულით უსწრებდა. V ტურში ზუგდიდელები სწორედ თავიანთს „მდევრებს“ შეხვდნენ და სენსაციურად დამარცხდნენ — 0:4. II ადგილი ბათუმელებმა დაისაკუთრეს — 13 ქულა, ზუგდიდელმა მოჭადრაკეებმა კი III ადგილზე გადაინაცვლეს.

ამ ნახევარფინალში შემდეგ ადგილებზე არიან: ტყიბული — 8,5 ქულა, ცხაკაია — 7 და ლაგოდეხი — 2,5.

მეორე ნახევარფინალში II ადგილისთვის ბრძოლაში გორელები გაწბილდნენ. V ტურის წინ მათ 9 ქულა ჰქონდათ, ქუთაისელებს კი — 6,5. მაგრამ ახალგაზრდა ქუთაისელმა მოჭადრაკეებმა ს. გაბუნიამ, გ. ბერიძემ, მ. ძოდებაძემ და 11 წლის თამილა მესხმა გამარჯვებისადმი შეუნელებელი ლტოლვა გამოავლინეს. მათ დაამარცხეს გორელები — გ. ყველაშვილი, რ. მჭედლიძე, გ. ქელეხსაშვილი, ც. კასოშვილი და 10,5 ქულით ფინიშთან მეორენი მივიდნენ.

გორის გუნდს დაეწივნენ ახალციხელი მოჭადრაკეები (რუსთაველებს მოუგეს — 3:1) — 9-9 ქულა. III ადგილი მსაჯთა კოლეგიამ მათს გუნდს მიაკუთვნა. გამარჯვებათა რაოდენობა და კოეფიციენტთა ცხრილის მაჩვენებლები ორივე გუნდს ერთნაირი აღმოაჩნდა, ერთმანეთთან მატჩიც ყაიმით (2:2) დაამთავრეს, მაგრამ I დაფაზე ახალციხელმა ზ. დიდიმაშიშვილმა მოუგო გ. ყველაშვილს (გორი) და ამან ახალციხის გუნდს უპირატესობა მოუტანა. გორელები IV ადგილზე დარჩნენ.

V ადგილი დაიკავა რუსთავის გუნდმა — 7,5, VI — სამტრედიის კოლექტივმა — 6,5.

ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან ნახევარფინალებში შესაბამის ადგილებზე გასული გუნდები.

თ. ნინოშვილი.

ფიზკულტურა და სპორტი — ხუთწლედის სამსახურში!

ერთი კომბინატის ფიზკულტურელთა საქმეები

„კერამიკული კომბინატი. კომუნისტური შრომის საწარმო" — ვკითხულობთ თბილისის ამ ერთ-ერთი მოწინავე კომბინატის ლამაზად გაფორმებულ შესასვლელში.

კომბინატი ტერიტორიულად დიდი როდია, მაგრამ ამ საწარმოს 500-ზე მეტი მუშა და მოსამსახურე დიდ საქმეს აკეთებს. კერამიკოსები დაუღალავად შრომობენ. კოლექტივმა სწორედ ამ გულმოდგინე გარჯით, საწარმოს გეგმების გადაჭარბებით შესრულებით, ხარისხიანი პროდუქციის გამოშვებით გაითქვა სახელი.

თბილისელი კერამიკოსები კომუნისტური შრომის საწარმოს სახელისთვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში თავიდანვე ჩაებნენ და წარმატებასაც ერთ-ერთმა პირველებმა მიაღწიეს — სასურველი წოდება მოიპოვეს.

ეს ამ თერთმეტი წლის წინათ იყო. კომუნისტური შრომის საწარმოს სახელის მოპოვება იოლი არ გახლდათ, მაგრამ კიდევ უფრო გულმოდგინე შრომას მოითხოვდა ამ სახელის ღირსეულად ტარება და მოწინავე პოზიციების შენარჩუნება.

თბილისელ კერამიკოსებს სიძნელეებისა არ ეშინიათ. აგერ მერამდენე წელია კომბინატი კვარტალურ და წლიურ გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს, ჟილდოსაც ყველა ღებულობს.

ახლა საწარმოს პროდუქცია იგზავნება საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში, მსოფლიოს შვიდ ქვეყანაში. ხალხს განსაკუთრებით ქართული სტილის მხატვრული კერამიკული ნაწარმი მოსწონს, მაგრამ არც სხვა სახის პროდუქციას დაედება წუნი. კოლექტივს მტკიცედ განუზრახავს, რომ ყველა სახის პროდუქციის გამოშვება საერთაშორისო სტანდარტებს გაუთანაბროს. ასეთ წარმატებას ალბათ ვერ მიაღწევდნენ მუშებსა და მოსამსახურეებს მხარში რომ არ უდგნენ კომბინატის დირექცია, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები. შეთანხმებული მუშაობა, ჭკვიანური თანამშრომლობა ახალ-ახალ მიღწევათა საწინდარია.

კომბინატის შრომითს წარმატებებში ფიზკულტურულ კოლექტივსაც უდავოდ დიდი დამსახურება მიუძღვის, ვინაიდან საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა თითქმის ნახევარი ფიზკულტურელია, 330 კაცი კი — სპორტსაზოგადოება „განთიადის" წევრი.

კომბინატში იციან სოციალისტური შეჯიბრების მადლის დაფასება. კაცი კაცს ეჯიბრება, საამქრო — საამქროს.

... სამხატვრო საამქროში ვართ. ჩამდგმელ თენგიზ სულიკაშვილს, მეხამეთანრიგოსან მაგიდის ჩოგბურთელს ვეკითხებით, როგორ ასრულებს ყოველთვიურ გეგმებს და რა განაპირობებს მის წარმატებებს.

— ხომ ბედნიერია ოჯახი, სადაც ყველას უსიტყვოდ ესმის ერთმანეთისა? ასე საწარმოშიც, სადაც შრომა დაფასებულია. გარჯა გეხალისება, როცა იცი, რომ გულმოდგინე მუშაობით ამ შენი მეორე ოჯახის დიდებაში საკუთარი წვლილი შეგაქვს. სოციალისტური შეჯიბრება დიდად გვეხმარება. სიტყვის გატეხა და პირშავად დარჩენა აბა ვის გაუხარდება? მე, მაგალითად, ამირან ხატელიშვილს ვეჯიბრები. გეგმებს ორივე მუდამ გადაჭარბებით ვასრულებთ.

— არ გწყინდებათ ერთი და იმავე საქმის კეთება?

— მოწყენილობის წამალი ფიზკულტურა და სპორტია. მე განსაკუთრებით ტურიზმი და მაგიდის ჩოგბურთი მიყვარს. ბუნების წიაღში, ლაშქრობაში გატარებული ყოველი დღე შრომის ხალისს მიათკეცებს.

სულიკაშვილის ნათქვამს ადასტურებს ამავე საამქროს მხატვარი-შემსრულებელი გიორგი მუქერია, რომელიც სოციალისტურ შეჯიბრებაში ავთანდილ მოდებაძესთანაა ჩაბმული და ყოველთვიურ გეგმებს 120-125 პროცენტით ასრულებს.

— თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს კომბინატში ფიზკულტურა და სპორტი ხუთწლედის სამსახურში დგას. ამას ყოველმხრივ ხელს უწყობენ დირექცია და საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტი ლევან ლობჟანიძე.

— იტყვიან ხოლმე, მთელ დღეს ნამუშევარ და დაღლილ კაცს ფიზკულტურისთვის სად სცალიაო. არ არის მართალი. საკუთარ თავზე გამომიცდია, რა დაღლილიც არ უნდა ვიყო, მუშაობის შემდეგ ფიზკულტურა სულ სხვა ხალისს მაძლევს. მე სათხილამურო სპორტის თაყვანისმცემელი ვარ და ზაფხულში ცოტა მიჭირს, მაგრამ ამ დროს ზოგადგამაჯანსაღებელ ჯგუფში მეცადინეობა მშველის.

სამხატვრო საამქროში შრომასა და სპორტში არც ლუციეტა ბაიდაშვილი და ლამარა გარუჩავა დაუდებენ ტოლს ვინმეს. ფილების დამხარისხებელ ვალენტინა პანკრაშკინას რომ ჰკითხოთ, შრომისნაყოფიერების ზრდის პირველი წყარო და წამალი ტურიზმია.

— ტურიზმი ძალიან მიყვარს, როცა შევიტყობ, რომ ამა და ამ დღეს ლაშქრობა ეწყობა, შრომის ხალისი მემატება, ლაშქრობიდან დაბრუნებული კი გაორკეცებული ენერგიით ვმუშაობ. აი, დღეს ძალიან კარგ გუნებაზე ვარ, გავიგე, რომ მომავალ შაბათ-კვირას ჩარგლისკენ წავალთ სალაშქროდ და ბუსნისჭალაში მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად შეჯიბრებასაც გავმართავთ...

მასის დამამზადებელი საამქროს მუშას, ფრენბურთსა და სათხილამურო სპორტში თანრიგოსან გიორგი ხუროშვილს, რომელიც ხაჩიკ კარამოვთან სოცშეჯიბრებაშია ჩაბმული, სწორედ ფიზკულტურა და სპორტი ეხმარება საწარმოო გეგმების ყოველთვიურად 110-115 პროცენტით შესრულებაში.

კერამიკულ კომბინატში კარგად იცნობენ შრომასა და სპორტში მოწინავეებს — ჩამომსხმელ ვაჟა როსტომაშვილს და საზოგადოებრივ ფიზკულტურულ ინსტრუქტორს, გამოწვის საამქროს მუშას ილია ავალიანს. პირველი ნიკოლოზ უშაკოვს ეჯიბრება და გეგმებს 115 პროცენტით ასრულებს, მეორეს სამხატვრო საამქროს გამომწველ ვასო მინდიაშვილთან აქვს სოცშეჯიბრი. იგი კომბინატში ყველაზე მოწინავეა გეგმების შესრულებაში (120-130 პროცენტი).

კომბინატში ფიზკულტურისა და სპორტის პოპულარობას ისიც უწყობს ხელს, რომ სხვებს ხშირად პირად მაგალითს აძლევს პარტბიუროს მდივანი შოთა ცხვარაძე. იგი საუკეთესო მოჭადრაკეა, გუნდის კაპიტანი. მოჭადრაკეთა გუნდი კი მართლაც კარგი ჰყავთ.

კერამიკოსები კარგად იყენებენ საზოგადოებრივ ფიზკულტურულ კადრებს. ერთ-ერთი აქტივისტია მხატვარ-მოდელიორი, საზოგადოებრივი მწვრთნელი მაგიდის ჩოგბურთში გიორგი კობერიძე. ამ კაცმა კარგად იცის, რაოდენ დიდ როლს ასრულებს ფიზკულტურა და სპორტი შრომისნაყოფიერების ზრდაში, მშრომელთა ჯანმრთელობის განმტკიცებაში. ამიტომ იგი თვითონაც ხშირად ვარჯიშობს და სხვებსაც ურჩევს ფიზკულტურასთან დამეგობრებას.

ვლადიმერ ეჯიბაია თავდაპირველად სამხატვრო საამქროს მუშა იყო და მალე გამოიჩინა თავი მუყაითი შრომით. სპორტიც ძალიან უყვარს, განსაკუთრებით ფეხბურთი. ახლა იგი რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯია ამ სახეობაში და ხშირად შეხვდებით რესპუბლიკურ თუ საკავშირო ტურნირებზე. ვლადიმერი არც სწავლას ჩამორჩა. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ამას წინათ მასის დამამზადებელი საამქროს ცვლის ოსტატად დააწინაურეს.

კომბინატის შრომითს წარმატებებში ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა ყველა დამსახურების ჩამოთვლა ამ ერთ წერილში შეუძლებელია. ვიტყვით მხოლოდ, რომ ფიზკულტურული კოლექტივის საბჭო, რომელსაც ამჟამად საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტი ლ. ლობჟანიძე უძღვება, პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას: ხშირად ეწყობა სხვადასხვა სახის გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი, ტარდება შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები, სამატჩო შეხვედრები მეზობელ საწარმოებთან.

კარგი გუნდები რომ ჰყავთ, ეს „განთიადის" საქალაქო სპარტაკიადამაც დაადასტურა: კერამიკის კომბინატის ფიზკულტურელებმა მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობის მიხედვით თანაბარი კოლექტივების შეჯიბრებაში III საპრიზო ადგილი დაიკავეს.

— მშდ ახალი კომპლექსის შემოღებამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი საწარმოებში მასობრივ-გამაჯანსაღებელი და ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესებას. შარშან ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადების გეგმები გადაჭარბებით შევასრულეთ. წლეულს მოსამზადებელ ჯგუფში 60 კაცი ჩაება, ნორმატივების ჩაბარების სურვილი კი 110-მა გამოთქვა. ბევრმა ნორმატივები უკვე ჩააბარა 60 და 100 მეტრზე რბენაში, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომაში, ღერძზე მიზიდვაში, ბირთვის კვრაში, ტყვიის სროლაში, ტურიზმში, აგრეთვე, თეორიულ ნაწილში — სამოქალაქო თავდაცვაში, დილის ჰიგიენურ ტანვარჯიშში, პირად და საზოგადოებრივ ჰიგიენაში, — ამბობს ლობჟანიძე.

— ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის საქმე როგორ გაქვთ? — ვკითხეთ ფიზკულტურელთა თავკაცს.

მან სხვადასხვა შეჯიბრებაში მოპოვებულ პრიზებზე, ვიმპელებზე, სიგელებზე, დიპლომებზე, ფოტოსტენდზე და თვალსაჩინო აგიტაციის სხვა მასალებზე მიგვითითა.

— მალე პროპაგანდის კუთხეს ახალი მასალებიც შეემატება. კომბინატის დირექტორმა გივი ბუცხრიკიძემ ეზოში გააკეთებინა სპეციალური ვიტრინა. ვიტრინისთვის ეს ფოტომასალები გვინდა გამოვიყენოთ, — გვითხრა მან და წინ სურათების დასტა დაგვიწყო.

სურათებზე აღბეჭდილი იყო კომბინატის მუშა-მოსამსახურეების, მოწინავე სპორტსმენებისა და გუნდების ყოველდღიური ცხოვრების მომენტები.

— როცა ჩვენი კოლექტივის შესახებ დაწერთ, პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარე ბადრი შავდია არ დაგავიწყდეთ, ძალიან გვეხმარება, — თქვა ფიზკულტურელთა თავკაცმა.

— ხელს არაფერი გიშლით მუშაობაში?

— უფრო მეტი სპორტული ბაზა რომ გვქონდეს, არ გვაწყენდა, მაგრამ კომბინატის რეკონსტრუქციის დამთავრებამდე ფიზკულტურელებს მოთმინება გვმართებს, მერე კი დარბაზს მივიღებთ, — მოგვიგო ლობჟანიძემ.

აუცილებელიც არის. ფიზკულტურელებმა ხუთწლედის სამსახურში თავი არ უნდა შეირცხვინონ, ამისთვის კი მათ სათანადო პირობებიც სჭირდებათ.

ო. გელაშვილი.

უარყოფილი ლეგენდა

კიდევ რამდენიმე სიტყვა კალათბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის შესახებ

კალათბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატების ორგანიზაცია რატომღაც სამხრეთამერიკელთა მონოპოლიად ითვლება. შვიდი ჩემპიონატიდან ხუთი უშუალოდ სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში ჩატარდა, ერთი — იქვე მეზობლად, პუერტო-რიკოში, და მხოლოდ VI ჩემპიონატს მასპინძლობდა ევროპა (1970 წ. იუგოსლავია).

ყველაზე გასაკვირი კი ის არის, რომ კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის ბოლო სხდომაზე, რომელიც ამ ჩემპიონატის დღეებში სან-ხუანში ჩატარდა, კვლავ ლაპარაკი იყო ლათინური ამერიკის ქვეყნებზე, როგორც მსოფლიოს VIII ჩემპიონატის ორგანიზატორებზე. კერძოდ, დღის წესრიგში იდგა ორი კანდიდატის — ბრაზილიისა და არგენტინის ოფიციალური მოთხოვნა. მაგრამ ფედერაციის სხდომამ იმსჯელა აზიაში სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციაზე და სამხრეთამერიკელებმა მოხსნეს თავიანთი კანდიდატურები. ამის შემდეგ გადაწყდა, რომ მორიგ ჩემპიონატს უმასპინძლებს ფილიპინები. ეს იქნება 1978 წლის ზაფხულში.

ახლა კი მოკლედ VII ჩემპიონატის საბოლოო შედეგებზე. ტურნირში მონაწილეობდა ევროპის ოთხი ქვეყანა (სსრ კავშირი, იუგოსლავია, ესპანეთი და ჩეხოსლოვაკია). სამმა ფინალურ ასპარეზობაში თამაშის უფლება მიიღო. სსრ კავშირის ნაკრები, როგორც იცით, მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ხოლო იუგოსლაველებმა — გასული ჩემპიონატის ფავორიტებმა — ვერცხლის მედლები დაიმსახურეს. ხუთეულში მოხვდა ესპანეთის გუნდიც.

როგორც ხედავთ, ევროპულმა კალათბურთმა ამჯერადაც დაამტკიცა თავისი ძალა.

აი, როგორ აფასებს ტურნირის საბოლოო შედეგებს იუგოსლავიის გაზეთი „ბორბა": „საბჭოთა სპორტსმენებმა ერთხელ კიდევ უარყვეს ლეგენდა ამერიკული კალათბურთის უძლეველობაზე. ბოლო მატჩში მათთვის საკმარისი იყო 4-ქულიანი უპირატესობა, სინამდვილეში კი 11 ქულით გაიმარჯვეს. ამ საინტერესო ბრძოლაში საბჭოთა გუნდმა გვიჩვენა თავდასხმისა და დაცვის უაღრესად ჰარმონიული თამაში. სალნიკოვი ამერიკელებისთვის ბოლომდე ამოუცნობ ფენომენად დარჩა. ალექსანდრე და სერგეი ბელოვები, ახალგაზრდა პავლოვი და ვეტერანი ედეშკო დიდი აღმავლობით თამაშობდნენ. სან-ხუანის მატჩი თავისებური გამეორება იყო მიუნჰენის ორი წლისწინანდელი მატჩისა, რომელმაც, ამავე დროს, დაასაბუთა მისი სამართლიანობა".

კიდევ უფრო საინტერესო მასალებს ბეჭდავს ბელგრადის გაზეთი „სპორტი". „ამერიკელები, — წერს ამ გაზეთის მიმომხილველი, — ვერაფრით შეურიგდნენ მარცხის რეალურ საფრთხეს. მოედანზე ხშირად იქმნებოდა უსიამოვნო კონფლიქტები. საბჭოთა მწვრთნელმა კონდრაშინმა რამდენიმეჯერ შეცვალა მოთამაშეები და ამით ჩემპიონატის ორგანიზატორებს უსიამოვნება ააცდინა თავიდან. კონდრაშინის ამერიკელი კოლეგა ბარტოუ კი უწესოდ იქცეოდა, მსაჯებს ეკამათებოდა, რისთვისაც გაფრთხილებაც კი მიიღო".

სსრ კავშირის, იუგოსლავიისა და აშშ-ს კალათბურთელებმა ტურნირი ერთნაირი შედეგებით დაამთავრეს. მაგრამ მათს შეხვედრებში საბჭოთა გუნდს აღმოაჩნდა +8 ქულა, იუგოსლაველებს —0, აშშ-ს კი —8. ამიტომაც, ოქროს მედლები ოლიმპიურმა ჩემპიონებმა მიიღეს, ვერცხლისა — მსოფლიოს ჩემპიონებმა, ბრინჯაო კი განაწყენებულ ამერიკელებს დარჩათ.

მიუნჰენის ოლიმპიადის მესამე პრიზიორი კუბა ამჯერად IV ადგილზე გავიდა. ბოლოსწინა ტურში კუბელები მასპინძლებმა დაამარცხეს (98:97), ბოლო თამაში კი თავისუფლების კუნძულის კალათბურთელებმა მოუგეს ბრაზილიელებს — 85:80. სამმა გუნდმა — ესპანეთის, ბრაზილიისა და პუერტო-რიკოს კოლექტივებმა 2-2 ქულა დააგროვეს. V ადგილი მიეკუთვნა ესპანეთს (—18), VI — ბრაზილიას (+3), VII კი — პუერტო-რიკოს (—21). ფინალური ტურნირის ბოლო მონაწილეს კანადას მხოლოდ 1 ქულა ჰქონდა. ამიტომ მას VIII ადგილი დარჩა.

ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ჟურნალისტებმა და სპეციალისტებმა შეადგინეს მსოფლიოს სიმბოლური ნაკრები, რომელშიც მოხვდნენ: სალნიკოვი, ა. ბელოვი (ორივე — სსრ კავშირი), ლუკასი (აშშ), კიჩანოვიჩი (იუგოსლავია), ბრაბენდერი (ესპანეთი). საუკეთესო ცენტრალურ თავდამსხმელად აღიარებულია ა. ბელოვი. მეორე პრეტენდენტს, იუგოსლაველ ჩოსიჩს მან 11 ხმით გაუსწრო.

ყველაზე შედეგიანი თავდასხმა ამერიკელებს ჰყავდათ. ფინალურ ტურნირში მათს ანგარიშზეა 694 ქულა (ყოველ მატჩში — თითქმის 100 ქულა), მთელი ჩემპიონატის მანძილზე კი ამერიკელმა თავდამსხმელებმა 939 ქულა (10 შეხვედრაში) მოაგროვეს.

ყველაზე ძლიერი დაცვა ჰყავდა სსრ კავშირის ნაკრებს. (ფინალურ ტურნირში — მხოლოდ 509 ქულა, მთელს ჩემპიონატში კი — 697).

ყველაზე სუსტი თავდასხმა აღმოაჩნდა ბრაზილიას (522 ქულა), ყველაზე სუსტი დაცვა კი — ესპანეთს (640 ქულა).

სსრ კავშირის ნაკრები ამ ჩემპიონატში ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: ს. ბელოვი (ცსკა, სიმაღლე — 190 სმ, დაიბადა 1944 წ.), ი. ედეშკო (ცსკა, 195, 1945), ვ. მილოსერდოვი (ცსკა, 187, 1951), ა. ბელოვი (ლენინგრადის „სპარტაკი", 200, 1951), ა. ბოლშაკოვი (ლენინგრადის „სპარტაკი", 184, 1946), ი. პავლოვი (ლენინგრადის „სპარტაკი", 200, 1952), ა. ბოლოშევი (მოსკოვის „დინამო", 205, 1947), ვ. ჟიგილიი (მოსკოვის „დინამო", 206, 1952), ა. ხარჩენკოვი (მოსკოვის „დინამო", 201, 1953), ა. სალნიკოვი (კიევის „სტროიტელი", 197, 1949), პ. ტომსონი (ტარტუს „კალევი", 194, 1942), მ. პაულაუსკასი (კაუნასის „ჟალგირისი", 194, 1945).

ფინალური ტურნირის საბოლოო ცხრილი

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
სსრ კავშირი	7	6	1	625—509	6
იუგოსლავია	7	6	1	629—568	6
აშშ	7	6	1	694—587	6
კუბა	7	3	4	565—599	3
ესპანეთი	7	2	5	556—640	2
ბრაზილია	7	2	5	522—586	2
პუერტო-რიკო	7	2	5	568—620	2
კანადა	7	1	6	566—616	1

როგორც ცნობილია, მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონი იუგოსლავია და VII ჩემპიონატის ორგანიზატორი პუერტო-რიკო ჯგუფურ ტურნირებში არ მონაწილეობდნენ. ამიტომაც ქვედა ცხრილში, რომელიც მთელი ჩემპიონატის სურათს ასახავს (ჯგუფური ტურნირები და ფინალი) ისინი არ არიან შეყვანილნი.

სსრ კავშირი	10	9	1	939—697	9
აშშ	10	9	1	1052—829	9
კუბა	10	6	4	798—817	6
ესპანეთი	10	4	6	840—928	4
ბრაზილია	10	4	6	776—797	4
კანადა	10	3	7	808—840	3



ჩემპიონატის მთავარი ჯილდო — მსოფლიოს თასი გადაეცა სსრ კავშირის ნაკრების კაპიტანს მ. პაულაუსკასს.

ს უ რ ა თ ზ ე: პაულაუსკასი ძვირფასი ნადავლით ხელში.

მერვე ადგილზე

მოლდავეთის ქალაქ უნგენში დამთავრდა სოფლის სპორტსმენთა მეორე საკავშირო პირველობა ცხენოსნობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ 13 რესპუბლიკის წარმომადგენლები, რომელთა შორის ყოველი მესამე სპორტის ოსტატი იყო. ასპარეზობდნენ „კოლმეურნის" ცხენოსანთა ნაკრები გუნდის მხედრებიც და საკმაო წარმატებითაც. შეჯიბრების პროგრამაში იყო ცხენოსნობის კლასიკური სახეობები: ცხენის გაწვრთნა, დაბრკოლებათა გადალახვა, სამჭიდი და სხვ.

სამჭიდში უმცროსი ასაკის ცხენებით ასპარეზობაში ჩვენი რესპუბლიკის გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ოჩამჩირელი ვ. ჯაფარიძე და გულრიფშელი ნ. მოლდავანი, III ადგილი დაიკავა.

სამჭიდში უფროსი ასაკის ცხენებისთვის ზუგდიდელმა სპორტის ოსტატმა ა. კრაინენკომ VII ადგილი მოიპოვა. გუნდიც VII ადგილზე გავიდა.

უმაღლესი კლასის დაბრკოლებათა გადალახვაში ოჩამჩირელი სპორტის ოსტატი ი. ბარათელია V ადგილზეა. ამ სახეობის გუნდურ ჩათვლაში საქართველოს „კოლმეურნის" გუნდმა III ადგილი დაიკავა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში „კოლმეურნის" ცხენოსნებმა VIII ადგილი მოიპოვეს.

ნ. სიჭინავა,

მშვიდობისა და მეგობრობის ელჩები

ამას წინათ საკავშირო სპორტკომიტეტისა და სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის მოწვევით საბჭოთა კავშირს ესტუმრა უცხოელ ჟურნალისტთა დიდი ჯგუფი. ჯგუფს მეთაურობდნენ სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის (აიპს-ი) პრეზიდენტი ფრენკ ტეილორი და ამავე ასოციაციის გენერალური მდივანი ბობი ნაიდუ.

უცხოელი ჟურნალისტები თბილისშიც იყვნენ. სტუმრებმა დაათვალიერეს ჩვენი ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, სპორტული ბაზები, შეხვდნენ გამოჩენილ ქართველ სპორტსმენებს.

დღეს გთავაზობთ ფ. ტეილორის წერილს, რომელშიც იგი გვიზიარებს საბჭოთა კავშირში მიღებულ შთაბეჭდილებებს.

საბჭოთა კავშირში ჩვენ მშვიდობისა და მეგობრობის ელჩებად ჩავედით. ვეწვიეთ მოსკოვს, ლენინგრადს, კიევს, თბილისს, ბაქოს. საბჭოთა ადამიანებმა გული გადაგვიხსნეს და თავიანთი სახლების კარები სტუმართმოყვრულად გაგვიღეს.

ასეთია ოცდაოთხივე ჩემი კოლეგის, ოცდაოთხი უცხოელი ჟურნალისტის, სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის (აიპს-ი) წევრების შეხედულება, რომლებმაც ამას წინათ საბჭოთა კავშირში იმოგზაურეს. სპორტულ ჟურნალისტთა ეს საერთაშორისო ბრიგადა მიწვეული იყო სსრ კავშირის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის სერგეი პავლოვის თაოსნობით. „ჩამობრძანდით საბჭოთა კავშირში,— გვეუბნებოდა სერგეი პავლოვი, — და თქვენი თვალით ნახავთ, რა გვქონდა მხედველობაში, როცა 1980 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის სურვილი გამოვთქვით“.

იმან, რაც ვნახეთ, უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. მოვიყვან ორი ჩემი კოლეგის სიტყვებს.

იან ვულდრიჯი, რომელმაც 1972 წელს დიდი ბრიტანეთის საუკეთესო სპორტული ჟურნალისტისა და მწერლისთვის დაწესებული პრიზი მიიღო, ამბობს: „იმის შესახებ, რაც საბჭოთა კავშირში ვნახე, შემიძლია წიგნი დავწერო. ახლა კი ვიტყვი, რომ მთელი მოგზაურობაც და სტუმრად მიღებული შთაბეჭდილებებიც, მეტი რომ არა ვთქვა, ფანტასტიკური იყო“.

კანადის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სპორტული ჟურნალისტი, მონრეალელი ჯორჯ ჰანსონი ამ აზრისაა: „ეს იყო ცხადად ქცეული ოცნება. მე ვერასგზით ვერ ვიტყოდი უარს ამ მოგზაურობაზე, საბჭოთა სპორტსმენ ქალებთან და ვაჟებთან, საბჭოური სპორტის მესვეურებთან შეხვედრაზე“.

საქმეში ჩაუხედავ კაცს ალბათ გაუჭირდება წარმოიდგინოს მეგობრობისა და პროფესიული სიამაყის ის დიდი გრძნობა, რაც სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის — აიპს-ის წევრებს გვაკავშირებს ერთმანეთთან. ჩვენ გვაერთიანებს ძმობა, ურთიერთდახმარება და ურთიერთთანამშრომლობა, ყოველივე ამას კი საფუძვლად უდევს დიდი სიყვარული სპორტისადმი, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება მისდამი თვით სპორტსმენთა ერთგულებას.

სსრ კავშირში ჩასვლიდან 24 საათის შემდეგ ჩვენ უკვე ვისხედით დაუვიწყარი მოგზაურობის „ჯადოსნურ ხალიჩა-თვითმფრინავში“. ამ მოგზაურობის მარშრუტი საქართველომდე და უზბეკეთამდე იყო გადაჭიმული. ჩვენ ვნახეთ ის დიდი შესაძლებლობები, რაც საბჭოთა კავშირში სპორტსმენ ქალებსა და ვაჟებს აქვთ შექმნილი.

არასოდეს დამავიწყდება გულთბილი მიღება, რომელიც პირველ დღეს მოგვიწყვეს ცსკა-ში და მოსკოვის სანიჩბოსნო არხზე.

ცსკა-ში ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინეს ფრენბურთელმა ქალებმა (ეს თამაში დიდ ბრიტანეთში ჯერ კიდევ არ არის ისე გავრცელებული, როგორც საჭიროა), რომლებიც სრულყოფის მისაღწევად დღეში რამდენიმე საათს ვარჯიშობენ. ინგლისელ ფეხბურთელებს ქანცი გაუწყდებოდათ, მათი წვრთნის რეჟიმი რომ დაეცვათ. შემდეგ ტანმოვარჯიშეები ვნახეთ. ტელევიზიის წყალობით სპორტის ეს სახეობა სწრაფად ვითარდება ინგლისში.

დიდმა არტისტულობამ და გრაციოზულობამ ინგლისელ მოსწავლე გოგონათა კერპებად აქცია ტანვარჯიშის ისეთი აღიარებული სპეციალისტები, როგორიც არიან ლარისა ლატინინა, ლიუდმილა ტურიშჩევა და ოლღა კორბუტი. მოსწავლეები უამრავ წერილს მიგზავნიან და მეკითხებიან, რით შეიძლება მოძრაობის ასეთ გრაციოზულობას მივაღწიოთ. ცსკა-ში მე ვნახე, როგორ აღწევენ ამას. ტანვარჯიშულ დარბაზში გამეფებულ სიჩუმეში, მაყურებელთა შეძახილებისა და პრესის ყურადღებისგან შორს, ტანმოვარჯიშეები მხოლოდ თავიანთი მწვრთნელების თანდასწრებით ნაბიჯ-ნაბიჯ ამუშავებენ ყოველ ვარჯიშს, იყენებენ რაღაც წარმოუდგენელ იარაღს: რომელიც მათ ჰაეროვანი რეზინის ზღვაში თავბრუდამხვევი მალაყით გადახტომის დროს ტრავმებისგან იცავს.

სანიჩბოსნო არხს აქვს ყველაფერი, რაც აუცილებელია ოლიმპიელი ნიჩბოსნისთვის. ჩვენ ეს ვიცით აკადემიური ნიჩბოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის ტომ კელერის სიტყვებიდან. მოსკოვის სანიჩბოსნო არხი ათ თვეში აშენდა. ჩვენც გვაქვს სანიჩბოსნო არხი ნოტინგემში. მის აშენებას ორწელიწადნახევარი დასჭირდა. ამის შემდეგ მე აუცილებლად აღარ მიმაჩნია საბჭოთა მშენებლობის ტემპებზე სიტყვის გაგრძელება.

მოსკოვიდან ჟურნალისტთა ჯგუფი, რომელშიც მე ვიყავი, კიევს გადაფრინდა, ხოლო მეორე ჯგუფი, რომელსაც აიპს-ის გენერალური მდივანი ბობი ნაიდუ ახლდა, ლენინგრადისკენ გაემართა.

კიევში საქალაქო საბჭოს აღმასკომმა, რესპუბლიკურმა სპორტკომიტეტმა გულთბილი მიღება მოგვიწყვეს, როცა ამ ქალაქს ვტოვებდით, ვიგრძენით, რომ იქ დამყარებული მეგობრული ურთიერთობა მთელი სიცოცხლის მანძილზე გაგრძელდებოდა.

კვლავ დიდი კმაყოფილებით შევხვდი ვალერი ბორზოვს. უკანასკნელად მე იგი მიუნხენის სარბენ ბილიკზე ვნახე, სადაც საბჭოთა სპორტსმენმა ოლიმპიური ოქროს მედლები მოიპოვა 100 და 200 მეტრზე რბენაში. ახლა იგი თავისი მწვრთნელის ხელმძღვანელობით ევროპის ჩემპიონატისთვის (რომი) ემზადება. მას განზრახული აქვს მსოფლიო რეკორდი 100 მეტრზე რბენაში დაუჯერებელ შედეგამდე — 9,8 წამამდე დაიყვანოს.

კიევში ჩვენ იმდენი რამ ვნახეთ, რომ აქ ყველაფრის ჩამოთვლა, უბრალოდ, შეუძლებელია. მაგრამ ერთი შთაბეჭდილება, რომელიც არასდროს წაიშლება ჩემი მეხსიერებიდან, მაინც მინდა გაგიზიაროთ. ჩვენ მაღლა, დნეპრის თავზე ვიდექით, ვხედავდით ძირს გაწოლილი მდინარის ლივლივა ზედაპირს და დაუსრულებელ სივრცეს. ნათლად წარმოვიდგინე, როგორ გადადიოდნენ ოცდაათი წლის წინათ საბჭოთა არმიის ჯარები აქ იერიშზე თავისუფლების სახელით ცეცხლის წვიმაში. არ დამავიწყდება ძეგლი, აღმართული ლეგენდარული კიეველი ფეხბურთელების პატივსაცემად, რომელთაც მატჩი ჩაატარეს დამპყრობლებთან, დაამარცხეს ისინი და გამარჯვებისთვის მსხვერპლად საკუთარი სიცოცხლე გაიღეს. არ დამავიწყდება სპორტის მუზეუმი. იქ მე ვნახე სურათები საბჭოთა სპორტსმენებისა, რომლებიც სპორტული მოედნებიდან ომის ქარცეცხლში მიდიოდნენ, რათა თავიანთი სამშობლო დაეცვათ. ომმა მათ ძალების გაფურჩქვნის, ახალგაზრდობისა და მომავლის რწმენის აყვავების ხანაში მოუსწრო. მათი დამსახურებაა, რომ ჩვენ ვცოცხლობთ, შეგვიძლია დავტკბეთ მეგობრობით და მივაღწიოთ დიდ ურთიერთგაგებას ოლიმპიური თამაშებისა თუ სხვა საერთაშორისო სპორტული შეხვედრების საშუალებით.

კიევში ჩვენ დავტკბით ცხენოსანთა ოსტატობით იმ ტრასაზე, სადაც შარშან ცხენოსნურ სამჭიდში გამართულ ევროპის ჩემპიონატში პრინცესა ანაც მონაწილეობდა. ჩვენ სინანულით დავემშვიდობეთ კიევს, მის სუფთა, ფართო ქუჩებს და ქუჩის გასწვრივ ჩარიგებულ ხეთა ლამაზ მწკრივებს, დავემშვიდობეთ მეგობრებს. ახლა თბილისი და ტრადიციული ქართული სტუმართმოყვარეობა გველოდა. იქ ჩვენ ქართული ღვინით სავსე თასებით ასჯერ და ათასჯერ უნდა გვედღეგრძელებინა მშვიდობა და სპორტის საშუალებით დამყარებული ურთიერთგაგება.

ჩვენს ჯგუფში იყო მუდამ მოცინარი, გულკეთილი ამერიკელი ჟურნალისტი, ჯორჯიის შტატის ქალაქ ატლანტის მკვიდრი ფურმან ბიშერი, რომელმაც თბილისში თქვა: „მე ძმური სალამი ჩამოვუტანე ამერიკის შეერთებული შტატების ჯორჯიიდან საბჭოთა კავშირის ჯორჯიის (ინგლისურ ენაზე — საქართველო) ხალხს“.

თბილისში ჩვენ ვნახეთ სტადიონი, რომელიც ქალაქის ცენტრში შენდება, და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ბრწყინვალე სპორტული კომპლექსი. საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ გუნდებში ხომ მუდამ იყვნენ საქართველოს სპორტსმენები. არასდროს დამავიწყდება თბილისის ჭადრაკის სასახლეში ჩვენი სტუმრობის დროს გამეფებული სიჩუმე და სიმყუდროვე. აქ, ამ აყვავებული ხეხილით გარშემოკრულ სასახლეში, საიდანაც კავკასიონის მოელვარე, თოვლით დაფარული მწვერვალების ბრწყინვალე ხედი ჩანს, ოჯახის მამებთან ერთად ჭადრაკის სათამაშოდ მოდიან მათი ცოლებიცა და შვილებიც. ასეთი რამ სხვაგან არსად მინახავს.

„საქართველოში ლაშქრობის“ დროს ჩვენ გვახლდნენ მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი ჭიდაობაში, ახლა კი საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ ბალავაძე და სხვა ქართველი მეგობრები. ვუყურებდი თბილისის თავზე აღმართულ ქართლის დედის გიგანტურ ქანდაკებას, ცალ ხელში სამეგობრო ღვინის ფიალა რომ უჭირავს, მეორეში კი მახვილი მათთვის, ვინც გაბედავს და ამ ქვეყანას მტრული ზრახვებით მიადგება. მე ვფიქრობ, ეს ნებისმიერ სიტყვაზე უკეთ მეტყველებს მთელი საბჭოთა ქვეყნის ხალხთა ხასიათზე.

ამ სტრიქონებს მე შინ, ინგლისში ვწერ. ვუყურებ მწვანე საბავშვო მოედანს, ვუყურებ ვარდის ბუჩქებს, რომლებიც სიოს დაბერვაზე ნაზად ირწევიან და ვფიქრობ, რა ძნელია ლოგიკურად გადმოგცეთ ის უამრავი შთაბეჭდილება, რაც საბჭოთა კავშირში მოგზაურობამ დამიტოვა. მაგონდება სამარყანდის ოქროს გზაც, სამარყანდისა და ბუხარის ძველი მინარეთებიც, ტაშკენტის სპორტის სასახლის საციგურაო საამო სიგრილეც, როცა ქალაქში სიცხე 40 გრადუსს აღწევდა, პატარა გოგონები კი თავიანთ ოსტატობას გვიჩვენებდნენ ფიგურულ ციგურაობაში...

არასდროს დაგვავიწყდება სასიამოვნო საღამო ტაშკენტის მახლობლად მდებარე საბჭოთა მეურნეობაში. ბამბის პლანტაციების გვერდით, რომელსაც სპეციალური დანადგარებით რწყავდნენ, მიგვიღო უზბეკეთის სსრ 5 წლისთავის სახელობის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელმა ჯურა ხანაზაროვმა და ბევრი საინტერესო რამ გვიამბო. მის ნაამბობს საბჭოთა მეურნეობის მუშაობისა და გეგმების შესახებ კიდევ უფრო ავსებდა და ამდიდრებდა ძლიერი, მრავლისმნახველი ხელები და ციმციმა თვალები. მან გვიჩვენა ბამბის მინდვრები და სტადიონი, სადაც ახალგაზრდები შრომის შემდეგ ფეხბურთს თამაშობენ. მე ვფიქრობ, სწორედ ესაა სპორტის მომხიბვლელი ძალა — დასვენება, კმაყოფილება, ცხოვრება. სულაც არ არის აუცილებელი ჩემპიონი გახდე. მთავარია სპორტის სიყვარული, სპორტში მეცადინეობის სურვილი. ასე ფიქრობს საბჭოთა ხალხი, რაშიც ჩვენ ბევრჯერ დავრწმუნდით ამ მოგზაურობის დროს. საბჭოთა მეურნეობის თავკაცს რომ ვესაუბრებოდით, მე თითქოს მთელი საბჭოთა ქვეყნის გულისცემა ვიგრძენი. არასდროს დამავიწყდება ამ კაცის გულღია, მისი ქვეყნის ველებივით ლაღი ღიმილი და მისი დიდი, კრემლივით დიდი გული.

მოსკოვში დაბრუნებულებს თან გვახლდნენ ორი გიდი, სსრ კავშირის სპორტკომიტეტის წარმომადგენელი ა. ვალიახმეტოვი და ჩვენი მეგობარი, სსრ კავშირის სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი ალბერტ ლეიკინი.

საბჭოთა ქვეყანაში ვმოგზაურობდით, რამდენიმე ათასი მილი გავიარეთ, რათა შემდეგ შევხვედროდით ჩვენს სტუმართმოყვარე მასპინძელს სერგეი პავლოვს, მოგვესმინა მისი ნაამბობი სპორტის შესახებ, 1980 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობასთან დაკავშირებით მოსკოველთა სურვილებისა და იმედების შესახებ.

როგორც პროფესიულმა ჟურნალისტებმა, ჩვენ ვიცით, რომ ოლიმპიური თამაშების გასაშუქებლად სპორტულ ჟურნალისტს სჭირდება სამი რამ: მოხერხებული საწოლი, ინტერვიუს აღებისთვის ოლიმპიურ თამაშებამდე და თამაშების დროს შექმნილი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელი პირობები, საიმედო სატელეფონო, სატელეგრაფო და სატელექსო კავშირი.

არც ერთი ჟურნალისტის ნაამბობს, თუნდაც შედევრიც იყოს, აზრი არ ექნება, თუ მკითხველამდე ვერ მივიდა.

პავლოვმა გვაცნობა, რომ მოსკოვში თამაშებისთვის საგანგებოდ აიგება პრესის სახლი, რომელიც დაახლოებით 6 ათას ჟურნალისტს მოემსახურება. მანვე გვითხრა, რომ აშენდება ახალი საერთაშორისო სატელეფონო სადგური ათასი არხით, რომლითაც შესაძლებელი იქნება საათში დაახლოებით 6 ათასი კავშირის დამყარება. დაიდგმება 500 ტელექსი. გარდა ამისა, გამოყოფილი იქნება 1200 ადგილი რადიო- და ტელეკომენტატორებისთვის. მათ მუშაობას ხელს შეუწყობს ორბიტაზე კავშირგაბმულობის სპეციალური თანამგზავრის გაშვება.

ეს მხოლოდ რამდენიმე ციფრია იმ დიდი, ახალი გეგმებისა, რაც საბჭოთა კავშირში ისახება არა მარტო მსოფლიო პრესის წარმომადგენლების, არამედ მილიონი ტურისტის მისაღებად, რომლებიც ოლიმპიური თამაშების წელიწადს მოსკოვს ეწვევიან.

ს. პავლოვმა აიპს-ის წევრებს უთხრა: „ჯერ თუნდაც ის ფაქტი, რომ მოსკოვი ოლიმპიური თამაშების ჩატარების მსურველი ქალაქების შეჯიბრებაში მონაწილეობს, უკვე იმას ნიშნავს, რომ მას გულწრფელად სურს ოლიმპიელთა მიღება. ახორციელებს რა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პრინციპებს, საბჭოთა სახელმწიფო მუდამ გამოდის იმ სოციალისტური ძალებისა და მოძრაობათა დასაცავად, რომლებიც ხელს უწყობენ ხალხთა შორის ურთიერთგაგებისა და მშვიდობის გამტკიცებას. არ არსებობს არავითარი პოლიტიკური, ეკონომიური, სპორტული ან ტექნიკური პრობლემა, რასაც შეუძლია ხელი შეუშალოს მოსკოვში ოლიმპიური თამაშების ჩატარებას“.

ჩემი პირადი შეხედულების გამოხატვა ძნელი არ არის: ჩვენს სამყაროში ბევრი სხვადასხვა ხალხია, ბევრი სხვადასხვა ფერი, სხვადასხვა პოლიტიკური და რელიგიური რწმენა. მაგრამ სპორტში ვალდებული ვართ ერთი სამყარო გვქონდეს, რათა მსოფლიოს ახალგაზრდობამ შეძლოს ფიზიკურ კულტურაში სრულყოფა, მეგობრობის დამყარება და სოციალური კონტაქტების გაფართოება. ეს იდეალია. ნურავინ შეიტანს ეჭვს იმაში, რომ ოლიმპიადა ერთხელაც იქნება აფრიკაში ან სამხრეთ ამერიკაში ჩატარდება, ვინაიდან ოლიმპიზმის იდეალი ისაა, რომ თამაშები მთელმა მსოფლიომ ნახოს. ახლა მოსკოვის ჯერია და მან მიიწვია თამაშები. წინასწარ ვერავინ იწინასწარმეტყველებს კენჭისყრის შედეგს, ვინაიდან ისინი, ვინც კანდიდატები უნდა შეარჩიოს, თავიანთი შეხედულებებისამებრ განსაზღვრავენ, ვის მისცემენ ხმას. მაგრამ იმაში, რომ მოსკოვი მზადაა, სურს და შეუძლია კიდეც ოლიმპიური თამაშები საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პირობების შესაბამისად მოაწყოს, ეჭვს ვერავინ შეიტანს.

ინგლისურიდან თარგმნა
ა. ლეიკინმა.



სსრ კავშირის პირველობა რეგბიში

კვირას თბილისში ადგილობრივმა „განთიადმა“ მოსკოვის „ავტომობილისტის“ რეგბისტებთან შეხვედრაში მიმდინარე ჩემპიონატში პირველი გამარჯვება მოიპოვა — 9:0.

* * *

სურათზე: მომენტი ასკ-ს სტადიონზე გამართული მატჩიდან. თბილისის განთიადელებმა შერკინებიდან ბურთი მოიგეს და სანებლიძეს გადააწოდეს (ფოტოზე — ბურთით), რომელმაც „ავტომობილისტის“ წინააღმდეგ მორიგი შეტევა წამოიწყო.

ვ. სოკოლოვის ფოტო.

სნაიპერები

კვირას გამართული შეხვედრებით დამთავრდა რეგბიში სსრ კავშირის ჩემპიონატის პირველი წრის შეხვედრები. მომავალ კვირას გაიმართება მეორე წრის პირველი ტურის მატჩები და შემდეგ სპორტსმენებს თვენახევრიანი „არდადეგები“ დაეწყებათ.

პირველ წრეში ჩატარებული შეხვედრების შედეგების მიხედვით დადგინდა ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირთა ვინაობა. „სნაიპერთა“ სიას სათავეში ჩაუდგა ლენინგრადის „ბურევესტნიკის“ მოთამაშე რუმიანცევი, რომლის ანგარიშზეც გუნდის მიერ შვიდ მატჩში მოპოვებული 108 ქულიდან 68 მოდის. შემდეგ ადგილებზე არიან კიევის სამოქალაქო ავიაციის ინჟინერთა ინსტიტუტის გუნდის წევრი ბობროვი (56) და სსრ კავშირის ჩემპიონის, მოსკოვის „ფილის“ რეგბისტი ივაშოვი (47).

II წრის კალენდარი

21 ივლისი. „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი)—„განთიადი“ (თბილისი), „ფილი“ (მოსკოვი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი), „ავტომობილისტი“ (მოსკოვი) — ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემია (მოსკოვის ოლქი), „ლოკომოტივი“ (თბილისი) — სამოქალაქო ავიაციის ინჟინერთა ინსტიტუტი (კიევი).

8 სექტემბერი. „განთიადი“ — სამოქალაქო ავიაციის ინჟინერთა ინსტიტუტი, ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემია — „ლოკომოტივი“ (თბილისი), „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ავტომობილისტი“, „ბურევესტნიკი“ — „ფილი“.

15 სექტემბერი. „ფილი“ — „განთიადი“, „ავტომობილისტი“— „ბურევესტნიკი“, „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი), სამოქალაქო ავიაციის ინჟინერთა ინსტიტუტი — ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემია.

22 სექტემბერი. „განთიადი“ — ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემია, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — სამოქალაქო ავიაციის ინჟინერთა ინსტიტუტი, „ბურევესტნიკი“ — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი), „ფილი“ — „ავტომობილისტი“.

29 სექტემბერი. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „განთიადი“, სამოქალაქო ავიაციის ინჟინერთა ინსტიტუტი — „ავტომობილისტი“, ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემია — „ფილი“, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი). — „ბურევესტნიკი“.

6 ოქტომბერი. „განთიადი“ — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი), „ბურევესტნიკი“ — ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემია, „ფილი“ — სამოქალაქო ავიაციის ინჟინერთა ინსტიტუტი, „ავტომობილისტი“ — „ლოკომოტივი“ (თბილისი).

13 ოქტომბერი. „ავტომობილისტი“ — „განთიადი“, „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ფილი“, სამოქალაქო ავიაციის ინჟინერთა ინსტიტუტი — „ბურევესტნიკი“, ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემია — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი).

პატარა ავტომანქანების დიდი სისწრაფე

სსრ კავშირის ჩემპიონატი ავტოსამოდელო სპორტში

თბილისში უკვე სამი დღეა მიმდინარეობს სსრ კავშირის ჩემპიონატი ავტოსამოდელო სპორტში. ასპარეზობას თავი მოუყარა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის ორასამდე სპორტსმენს, რომელთა შორის არიან სსრ კავშირისა და ევროპის ჩემპიონები, ქვეყნის, კონტინენტისა და მსოფლიოს რეკორდსმენები.

XVIII საკავშირო ჩემპიონატის მთავარმა მსაჯმა, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ე. აგაველოვმა (ბაქო) გვითხრა, რომ საბჭოთა ავტომოდელისტებს საერთაშორისო სარბიელზე, განსაკუთრებით ბოლო წლებში, კარგი მაჩვენებლები აქვთ. ევროპის ჩემპიონები და მსოფლიო რეკორდსმენები, მოსკოველი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ვლადიმერ პოპოვი და ლენინგრადელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ნიკოლოზ ტრინევი თბილისშიც ცდიან ძალებს. მართალია, ეს ასპარეზობა ევროპის მორიგი პირველობისთვის (შეჯიბრება აგვისტოში საფრანგეთის ქალაქ ლიონში გაიმართება) ქვეყნის ნაკრების კანდიდატების შერჩევას არ ისახავს მიზნად, ვინაიდან გუნდი უკვე დაკომპლექტებულია, მაგრამ არ შეიძლება მის შემადგენლობაში ერთგვარი ცვლილებები მაინც არ მოახდინოს, თუ მონაწილეთაგან ვინმემ რამდენიმე ცდაზე სტაბილურად აჩვენა საერთაშორისო კლასის შედეგი.

● შეჯიბრების ორგანიზაციით კმაყოფილი თუ ხართ?

— ჩვენს მასპინძელს — საქართველოს დოსააფის რესპუბლიკურ კომიტეტს ბევრს ვერაფერს დავემდურებით. კარგმა მასპინძლობამ მაღალი შედეგების ჩვენებასაც ხელი შეუწყო — უკვე სამი საკავშირო რეკორდი გაუმჯობესდა, მაგრამ, ვფიქრობთ მოსავალი კიდევ უფრო უხვი იქნება.

● რას გვეტყვით გუნდებისა და სპორტსმენების მაჩვენებლებზე, მასპინძელთა შედეგებზე?

— საერთო შედეგები ურიგო როდია. ამას რეკორდებიც ადასტურებს. გუნდურ შეჯიბრებაში ყოველ კოლექტივს ყველა კლასში (სულ რვა კლასია) თითო სპორტსმენი გამოჰყავს. ჯერჯერობით ყველაზე კარგად რსფსრ-ს, ლენინგრადის, უკრაინისა და სომხეთის მოდელისტები გამოდიან. საქართველოს სპორტსმენებსაც ვერ დავემდურებით. ხუთი კლასის მოდელებით შეჯიბრებები უკვე დამთავრდა, მათ კი ნული არც ერთში არ მიუღიათ. აზერბაიჯანის კოლექტივს 2,5 და 10 კბ სმ მოცულობისძრავიანი სარბოლო და 1,5-ანი ასლებით შეჯიბრებაში ხელი მოეცარათ. მოსკოველებმა ნული მიიღეს 5-კბ სმ მოცულობის სარბოლო მანქანის მოდელებით ასპარეზობაში. ეს გუნდები ლიდერთა ჯგუფში იყვნენ და მათი წარუმატებლობა ამიტომაც აღვნიშნე.

მონაწილეთა ასეთ სიმრავლეს გაისისთვის ზრუნვა განაპირობებს. ავტოსამოდელო სპორტი სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის ტექნიკური სახეობების პროგრამაში შედის. თბილისის შეჯიბრებაში ბრძოლის დაძაბულობა ამანაც გამოიწვია. მაგალითად, 1,5 კბ სმ მოცულობისძრავიანი სარბოლო მოდელებით შეჯიბრებაში ბაქოელმა სპორტის ოსტატობის კანდიდატმა არტაშ არუთინოვმა ტამბოველ სპორტის ოსტატს ბორის ერემეევს ვერცხლის მედალი იმის წყალობით „წაართვა", რომ მის მიერ დამზადებულმა მოდელმა საათში 202,931 კილომეტრის სისწრაფის განვითარება შეძლო, ერემეევის მოდელმა — 202,475 კილომეტრისა.

ამ სახეობაში ყველას აჯობა ნიკოლაეველი ინჟინერ-კონსტრუქტორის ანატოლი კლიმენკოს მიერ დამზადებულმა მოდელმა — 212,014 კმ. ეს საკავშირო რეკორდია. კლიმენკო ჩემპიონიც გახდა.

დანარჩენი ორი საკავშირო რეკორდი ეკუთვნით რსფსრ-ს გუნდის წევრებს ვ. პოპოვს (2,5-ანებით, 245,902 კმ) და სპორტის ოსტატ ვ. სოლოვიოვს (10-ანებით, 271,493 კმ).

საქართველოს სპორტსმენებიდან ჯერჯერობით ყველაზე კარგი შედეგი აქვს ს. ჩალიჯანს. მის მიერ დამზადებულმა 2,5 კბ სმ მოცულობისძრავიანმა სარბოლო მოდელმა საათში 211,516 კმ სისწრაფის განვითარება შეძლო, რითაც სპორტსმენს პირადი VI ადგილი მოუტანა. გუნდმა V ადგილი და 127 ქულა მიიღო.

 რ. მაღრაძე.

• • •

სხვა ტექნიკური შედეგები. სარბოლო ავტომანქანების მოდელები. 2,5 კბ სმ მოცულობისძრავიანი. ვ. პოპოვი (რსფსრ) — 245,902 კმ, ვ. კარაპეტიანი (სომხეთი) — 238,095, ა. კოსტოჩკა (უკრაინა) — 234,987. **5,0-ანები.** ნ. ტრინევი (ლენინგრადი) — 249,653, ფ. კამალდინოვი (უზბეკეთი) — 249,307, ე. ზეიხალოვი (აზერბაიჯანი) — 243,243. **10,0-ანები.** ვ. სოლოვიოვი (რსფსრ) — 271,493, ე. გუსევი (ლენინგრადი) — 247,934, ე. ლიუტოვი (უკრაინა) — 238,927. **ავტომანქანების ასლები. 1,5 კბ სმ-ის მოცულობის ძრავით.** გ. გოროხოვატსკი (ყირგიზეთი) — 180,256, ა. ავაქიანი (სომხეთი) — 174,760, ვ. კანინინი (რსფსრ) — 170,874.

• • •

სურათებზე: ქვევით — სსრ კავშირის რეკორდსმენი ა. კლიმენკო; ზევით თბილისელი გ. გუდაძე (1,5-ანებით შეჯიბრებაში მისი მოდელი თბილისელთა ნამუშევრებს შორის საუკეთესო იყო) თავის მოდელს სტარტისთვის ამზადებს.

ვ. სოკოლოვის ფოტოები.

ფეხბურთი
ფეხბურთი
ფეხბურთი
ფეხბურთი

ფეხბურთის ქრონიკა

15 ივლისს მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მე-14 ტურის ბოლო მატჩი ადგილობრივ „ტორპედოსა" და ვოროშილოვგრადის „ზარიას" შორის.

ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს ტორპედოელებმა. მათი მხრივ ორივე ბურთი გაიტანა ნიკონოვმა, „ზარიადან" — კუკსოვმა.

სსრ კავშირის პირველობა

● ●

უმაღლესი ლიგა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 17 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (კიევი)	14	7	6	1	21—8	20
„ზენიტი" (ლენინგრადი)	14	5	8	1	17—16	18
„დინამო" (მოსკოვი)	14	4	8	2	18—14	16
„დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი)	14	5	6	3	15—11	16
„არარატი" (ერევანი)	14	5	5	4	17—14	15
„ჩერნომორეცი" (ოდესა)	14	4	7	3	19—20	15
„ქაირათი" (ალმა-ათა)	14	4	6	4	23—20	14
„ფახტაქორი" (ტაშკენტი)	14	4	6	4	20—18	14
„სპარტაკი" (მოსკოვი)	13	4	6	3	9—9	14
„შახტიორი" (დონეცკი)	14	3	7	4	13—15	13
„დინამო" (თბილისი)	13	3	7	3	11—16	13
ცსკა	14	3	6	5	19—22	12
„ტორპედო" (მოსკოვი)	14	3	6	5	8—13	12
„ნისტრუ" (კიშინიოვი)	14	3	5	6	19—23	11
„კარპატი" (ლვოვი)	14	2	7	5	11—15	11
„ზარია" (ვოროშილოვგრადი)	14	2	4	8	16—22	8

ფეხბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ!

სსრ კავშირის სპორტკომიტეტის დადგენილებით, როგორც ცნობილია, მოსკოვის „სპარტაკისა" და თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდების I წრის შეხვედრის შედეგი (0:0) გაუქმებულ იქნა. ეს მატჩი მოსკოვში შედგება დღეს. მისი ბოლო 30 წუთის რადიორეპორტაჟს მოისმენთ 21 საათსა და 45 წუთიდან თბილისის დროით.

II ლიგა III ზონა

გათამაშების ცხრილი

I წრის შედეგები

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ისკრა" (სმოლენსკი)	19	12	3	4	34—15	27
„დინამო" (ვოლოგდა)	19	11	5	3	32—15	27
„დინამო" (ბათუმი)	19	9	8	2	25—8	26
„ტორპედო" (ვლადიმირი)	19	11	4	4	27—13	26
„დილა" (გორი)	19	10	3	6	39—25	23
„ხიმიკი" (ძერჟინსკი)	19	9	5	5	28—20	23
„ურალანი" (ელისტა)	19	9	5	5	24—16	23
„ლოკომოტივი" (სამტრედია)	19	8	6	5	25—26	22
„დინამო" (სტავროპოლი)	19	7	5	7	24—19	19
„გურია" (ლანჩხუთი)	19	4	11	4	32—29	19
„მერცხალი" (მახარაძე)	19	6	7	6	28—29	19
„დინამო" (კიროვაბადი)	19	8	2	9	25—24	18
„კალიტვა" (ბელაია კალიტვა)	19	8	2	9	22—21	18
„დინამო" (ბრიანსკი)	19	7	4	8	22—23	18
„ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი)	19	7	2	10	18—22	16
„შირაკი" (ლენინაკანი)	19	5	4	10	19—31	14
„დინამო" (ზუგდიდი)	19	5	3	11	19—35	13
„ლორი" (კიროვაკანი)	19	3	6	10	14—35	12
„კოლხეთი" (ფოთი)	19	3	4	12	9—30	10
„ფოლადი" (სუმგაითი)	19	3	1	15	12—42	7

„ტყავის ბურთის" პრიზზე

ცხინვალი

აქ გაიმართა სამხრეთ ოსეთის პირველობა „ტყავის ბურთის" პრიზზე ნორჩ ფეხბურთელთა გუნდებს შორის. მასში მონაწილეობდნენ ლენინგორის, ზნაურის, ჯავისა და ცხინვალის რაიონების, აგრეთვე, ქ. ცხინვალის კოლექტივები.

უმცროსი ასაკობრივი კატეგორიის გუნდების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ქ. ცხინვალისა და ცხინვალის რაიონის (ვანათის საშ. სკოლის) გუნდები. ცხინვალელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 5:1 და დაეუფლნენ პრიზს. III ადგილზე არიან ჯაველი ფეხბურთელები.

უფროს ასაკში ადგილები ასე განაწილდა: ლენინგორი, ქ. ცხინვალი, ჯავა.

აღნიშვნის ღირსნი არიან ნიჭიერი ნორჩი ფეხბურთელები: რ. ოქრუაშვილი, გ. ბუჟღულაშვილი, ბ. ფარასტაევი, მ. ჩიგოევი, გ. შერაზადიშვილი (ცხინვალი), ჯ. ქარქუსოვი (ჯავა), ი. გვრიტიშვილი, ზ. ხინჩაგოვი, ვ. ხაჩიროვი (ლენინგორი) და სხვანი.

ვ. მელქოევი.
(ჩვენი კორ.).

ზესტაფონი

ფეროშენადნობთა ქარხნის სტადიონზე გაიმართა სარაიონო ტურნირი ნორჩ ფეხბურთელთა შორის.

უფროს ასაკში გადამწყვეტი მატჩი შედგა ქვედა საქარისა და ფეროშენადნობთა ქარხნის კომუნალური განყოფილების გუნდებს შორის. წარმატება წილად ხვდათ ფეროშენადნობთა ქარხნის კომუნალური განყოფილების წარმომადგენლებს.

აღსანიშნავია, რომ უმცროს ასაკობრივ კატეგორიაშიც გაიმარჯვეს ამ ქარხნის კომუნალური განყოფილების ნორჩმა ფეხბურთელებმა.

ა. განუგრავა.
(ჩვენი კორ.).

საჩხერე

„ტყავის ბურთის" ტურნირში საინტერესოდ მიმდინარეობდა უფროსი ასაკის გუნდების ასპარეზობა. საჩხერის შ. რუსთაველის სახელობის სკოლის წარმომადგენლებმა აჯობეს ყველას და ფინალში გაუსწრეს სავანისა და საჩხერის ი. ჭავჭავაძის სახელობის სკოლების გუნდებს.

უმცროს ასაკში უძლიერესი აღმოჩნდა საჩხერის ა. წერეთლის სახელობის სკოლის გუნდი. აქ მომდევნო ადგილებზე გავიდნენ საჩხერის მე-2 და ქორეთის საშუალო სკოლების წარმომადგენლები.

ა. ანასაშვილი.
(ჩვენი კორ.).

საერთაშორისო ტურნირი პოლონეთში

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის 30-ე წლისთავს ეძღვნება ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც 20-22 ივლისს ჩატარდება ამ ქვეყნის ქალაქებში — ლიუბლინში, კრაკოვში, ვროცლავსა და გდანსკში.

ტურნირში მონაწილეობას მიიღებს სსრ კავშირის ნაკრები გუნდი. მის უფროს მწვრთნელს კ. ბესკოვს განზრახული აქვს ასეთი შემადგენლობა წაიყვანოს ტურნირზე: **მეკარეები** — პილგუი, კოლტუნი; **მცველები** — ძოძუაშვილი, ოლშანსკი, ლეშჩუკი, ნიკულინი, ლოსევი; **ნახევარმცველები** — ტროშკინი, ბურიაკი, კოლოტოვი, ზანაზანიანი, ანდრიასიანი, ფედოტოვი, მ. მაჩაიძე; **თავდამსხმელები** — ბლოხინი, შეპელი, პავლენკო, ხაძიპანაგისი.

რეკორდები

ტალინი, 15 ივლისი. 8 მსოფლიო რეკორდი დამყარდა წყალქვეშ მოცურავეთა საკავშირო ჩემპიონატში, რომელიც აქ, „კალევის" საცურაო აუზში მოეწყო. ასპარეზობის ბოლოს ახალი მსოფლიო რეკორდები დაამყარეს ლენინგრადელმა სამატოიმ (200 მ ფარფლებით — 1.50,2), და ყაზახეთის წარმომადგენელმა ტ. ვერშევიჩმა (400 მ აკვალანგით — 3.38,8). 1500 მეტრზე ფარფლებით ცურვაში კვლავ თავი გამოიჩინა ლენინგრადელმა ვ. ანდრეევმა — 14.14. ეს შედეგიც ახალი მსოფლიო რეკორდია.

მოსკოვი, 15 ივლისი. სასტენდო სროლაში საკავშირო ჩემპიონატის დღეებში მოსკოველმა ე. სენიჩევამ ადგილიდან ასპარეზობაში 100 შესაძლებლიდან 95 ქულა მოაგროვა და სსრ კავშირის რეკორდი დაამყარა ქალთა შორის.

მძლეოსნობის ახალი ამბები

აუგსბურგი, 15 ივლისი. დასავლეთ გერმანიის ამ ქალაქში გაიმართა მასპინძლებისა და პოლონეთის მძლეოსანთა ნაკრები გუნდების შეხვედრა, სადაც ი. შევინსკამ 200 მეტრის გარბენას 22,41 წამი მოანდომა. დ. კატოლიკმა 800 მეტრი 2 წუთსა და 01,8 წამში დაფარა, ა. ზანტანი (ორივე — პოლონეთი) პირველი იყო სამხტომში — 16,63 მ.

პრაღა, 15 ივლისი. ჩეხოსლოვაკიის მძლეოსანთა ღია ჩემპიონატის მონაწილე საბჭოთა სპორტსმენებმა ი. ანდრიუშენკომ და ნ. ხომენკომ 50 კილომეტრზე სპორტულ სიარულში შესაბამისად III და IV ადგილები დაიკავეს. პირველმა აჩვენა 4:17.0,9, მეორემ — 4:23,17,0.

ლონდონი, 15 ივლისი. დიდი ბრიტანეთის ღია ჩემპიონატში ს. უილიამსმა 100 მეტრი 10,2 წამში დაფარა. ჯ. ბოლდინგმა 400 მეტრზე თარჯრბენში 49,1 აჩვენა. მსოფლიო რეკორდსმენმა სიმაღლეზე ხტომაში, ამერიკელმა დ. სტოუნზმა (ყველა — აშშ) გააწბილა გულშემატკივრები, როცა საკმაოდ დაბალი შედეგით დაამთავრა შეჯიბრება — 214 სმ. მასპინძლებიდან კარგად იასპარეზეს მსოფლიო რეკორდსმენმა დ. ბედფორდმა, რომელმაც 10 კილომეტრის გავლას 28.14,8 მოანდომა და 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში გამარჯვებულმა ჯ. დევისმა — 8.26,8.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 04673